ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
2025 წლის შედეგები

ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის რიგით მეოთხეა ხანგრძლივი პარტნიორობის ფარგლებში. დოკუმენტი გვთავაზობს თანამშრომლობის ოთხწლიან სტრატეგიულ ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის საკითხებში საქართველოს კანონმდებლობის, ინსტიტუტებისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

რთულ და გამოწვევებით სავსე კონტექსტში წარმატებით შემცირდა პოტენციური რისკები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, მედიასთან და მოქალაქეებთან თანამშრომლობის გაძლიერებით, ამავდროულად, ხელისუფლებასთან კონსტრუქციული დიალოგის შენარჩუნების შედეგად. **ევროპის საბჭოს საქმიანობაში, მთავარ სტრატეგიულ აქცენტს მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის გაზრდა წარმოადგენს.** აგრეთვე, გაწეული სამუშაოს გრძელვადიანი მდგრადობისა და და რეალური გავლენის გაუმჯობესების მიზნით, რამდენიმე მიმართულებით დაინერგა სოციალური და ქცევითი ცვლილებების მეთოდოლოგია.

ციფრებში: პლატფორმა ქმედებისთვის|2026 წლის იანვრის მიხედვით

43 თანამშრომელი
მათ შორის 32 - პროექტებიდან **5 რეგიონალური და 10 ქვეყნისთვის სპეციფიკური პროექტი.**
მათ შორის, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის".

სამოქმედო გეგმის მთლიანი სავარაუდო ბიუჯეტი 30.4 მილიონი ევროა
დონორთა წვლილი ხელს უწყობს გრძელვადიან სტრატეგიულ ჩართულობას.

ჩამოტვირთეთ ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის 2024-2027

რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენი ჩართულობა

სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა გარდაიქმნება საზოგადოებისთვის ხელშესახებ შედეგებსა და პროგრესში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებით, რთულ კონტექსტში მდგრადობის შენებითა და ამავდროულად, კონსტრუქციული დიალოგის შენარჩუნების საშუალებით.

საქართველოში ევროპის საბჭოს საქმიანობის შედეგები

კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის განვითარება

გაძლიერდა ადამიანის უფლებათა გადაწყვეტილებების ზედამხედველობა. სახალხო დამცველის ოფისმა გაზარდა მე-9 წესის წარდგენა მინისტრთა კომიტეტში, გაუმჯობესდა რა შიდა განხორციელების მონიტორინგი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანგარიშგება, გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობის გაძლიერებასთან ერთად.

სისხლის სამართლის პრაქტიკაში ინტეგრირდა ქცევითი მეცნიერება. პროკურორებისა და იურისტებისთვის ევროპის საბჭოს ინოვაციურმა ტრენინგმა საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქცევითი მეცნიერება წარადგინა.

შეიქმნა სოციალური უფლებების დამცველთა ახალი თაობა. სამართლის 25-მა სტუდენტმა გაიუმჯობესა სამართლებრივი მსჯელობა და ადვოკატირება ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტების გამოყენებით, სიმულაციური მოსმენების დროს და ნორმები დამაჯერებელ, პრაქტიკისთვის მზა არგუმენტებად გადააქცია. თანატოლებისათვის მიღებული ცოდნის გაზიარების მზაობით, ისინი სოციალური უფლებების შესახებ ცნობიერებას ზრდიან.

განათლებისა და ჩართულობის წახალისება

მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების ძლიერი ჩართულობა. 44 სკოლაში, სასკოლო საზოგადოების 120 წევრმა მიიღო მონაწილეობა ევროპის საბჭოს აქტივობებში. შედეგად, მონაწილეების 96.6% აფიქსირებს მეტ ახალ იდეას მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართულებით, 96.5% - გაზრდილ მოტივაციას და 89.5% მობილიზაციისათვის საჭირო ქმედებების გაუმჯობესებულ აღქმას.

თანასწორობის ხელშეწყობა

თანასწორობა პრაქტიკასა და საზოგადო ცნობიერებაში. მედიის წარმომადგენლებმა გაიუმჯობესეს მგრძნობიარე და ეთიკური ენის გამოყენების, სიძულვილის ენის თავიდან აცილებისა და მოწყვლადი ჯგუფების პასუხისმგებლობით გაშუქების უნარი.

ბათუმსა და ქუთაისში გამართული ევროპის დღეების განმავლობაში, ასობით ვიზიტორი ჩაერთო ინტერაქტიულ აქტივობებში დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და არაცნობიერი მიკერძოების შესახებ და გაეცნო ევროპულ და ეროვნულ ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმებს.

მოწყვლადი ჯგუფების დაცვა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობა

დაცულია ბავშვთა უფლებები. გაუმჯობესდა პოლიციისა და გამომძიებლების მიერ არასრულწლოვანთა მიმართ მოპყრობა, როგორც არასრულწლოვან მსხვერპლთა და დამნაშავეთა დაკითხვის შესახებ ახალი ტრენინგ-მოდულის, ისე პრაქტიკაში ცვლილებების განსახოციელების მიზნით ტრენერთა ბაზის ჩამოყალიბებით, რომელიც 20 სერტიფიცირებულ ტრენერს მოიცავს.

გაძლიერებულია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საწინააღმდეგო ზომები. 20-მა სოციალურმა მუშაკმა გაიუმჯობესა პროფესიული მიდგომები ორდღიანი ინტერაქტიული სესიების საშუალებით სოციალური და ქცევის ცვლილებების გამოყენებით.

კარგი მმართველობისა და მედიის თავისუფლების გაუმჯობესება

ჟურნალისტები და აქტივისტები დაცულები არიან. Anti-SLAPPs პლატფორმამ დახმარება გაუწია იმ ჟურნალისტებსა და აქტივისტებს, რომლებიც შეურაცხმყოფელი სარჩელების წინაშე დგანან (SLAPPs). საქართველოს SLAPPs-ის ადვოკატებმა გამოავლინეს ოთხი ასეთი შემთხვევა და პირველად მიმართეს ევროპის საბჭოს რეკომენდაციას SLAPP-ის შესახებ შიდა სამართალწარმოებაში, რათა განემარტათ, თუ როგორ აზიანებს შეურაცხმყოფელი სარჩელები სიტყვის თავისუფლებას.